საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/7254
31/08/2023

7254-21-2-202308311607

ფ/პ ლელა აფხაზავას
მის: ქ. თბილისი, ვ. დოლიძის №13
ელ. ფოსტა: tsetskhladze91@gmail.com

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №7593 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბახვში სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში კვლავ არ არის გათვალისწინებული და დაზუსტებას საჭიროებს სააგენტოს 2023 წლის 30 ივნისის №21/5136 წერილში მითითებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადება წარმოდგენილია სამელიორაციო სისტემის **ექსპლუატაციაზე**, ხოლო დოკუმენტის ტექსტურ ნაწილში განხილულია როგორც **დაგეგმილი საქმიანობა**. შესაბამისად, სკრინინგის განცხადება და თანდართული ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს ტერიტორიაზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით. ამასთან, დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს სარწყავი სისტემის ექსპლუატაციის შედეგად გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედება, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად;
- დოკუმენტში მითითებულია, რომ წყალაღება ხდება მდინარის მომიჯნავე არხიდან, თუმცა, კვლავ არ არის მოცემული აღნიშნული არხის დანიშნულების, კუთვნილების და მასში არსებული წყლის ხარჯის შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ „1 350 ლურჯი მოცვის ნერგის მორწყვა გათვალისწინებულია წელიწადში ოთხი თვის განმავლობაში (მაისი-აგვისტო), თვეში 3-ჯერ, ხოლო 1 ნერგისთვის საჭირო წყლის რაოდენობა თვეში შეადგენს **15 ლიტრს**, რაც წლიურად შეადგენს **81 ტონა** წყალს“. შესაბამისად, კვლავ დასაზუსტებელია წლიურად ასაღები წყლის მოცულობა;
- დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იქნეს წყალაღების წერტილიდან საპროექტო ხაზობრივი ნაგებობის დერეფნის აღწერა, სიტუაციური რუკის თანდართვით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული

შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო